ხალგაზრდა ვეროელი

1921

17 სექტემბერი სამშაბათი 1991 № 106 (11739)

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე

კვირას, 15 სექტემბერს მინისტრთა კაბინეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს მეორე სესიის პირველი სხდომა.

შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოება განსაკუთრებული ინტერესით ელოდა მას. ეს, ცხადია, პირველ რიგში განაპირობა თბილისში 2 სექტემბერს დატრიალებულმა ტრაგიკულმა ამბებმა და საერთოდ საქართველოში შექმნილმა რთულმა პოლიტიკურმა ვითარებამ. ალბათ, ამის გამო იყო ის, რომ ერთი შეხედვით ისეთ მარტივ პროცედურას, როგორიცაა რეგისტრაცია, თითქმის 2 საათი დასჭირდა. ხოლო შემდეგ რაც მოხდა, ალბათ, მომავალში უფრო მიუკერძოებელი შეფასება მიეცემა მას.

78-72-18. დაიხსომეთ ციფრები, შესაძლოა ოდესმე ის კიდევ გამოჩნდეს ჩვენს გაზეთებში. ეს საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს მეორე სესიის პირველ სხდომაზე სახელდებითი კენჭისყრის შედეგებს ასახავს, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა საკითხი, შემდგარიყო თუ არა სესიის სხდომის პირდაპირი ტელეტრანსლაცია. 78 ხმით 72-ის წინააღმდეგ გაიმარჯვეს პირდაპირი ტელეტრანსლაციის მოწინააღმდეგეებმა. 18-მა დეპუტატმა თავი შეიკავა. ამ კენჭისყრის შედეგმა ბევრად განსაზღვრა სხდომის შემდგომი მიმდინარეობის ხასიათი.

როგორც ჯერ კიდევ კენჭისყრამდე განაცხადეს, სხდომა დატოვეს საპარლამენტო ოპოზიცია „დემოკრატიული საქართველოს“ და მისი მხარდამჭერი პარტიის დეპუტატებმა და ბლოკ „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ რამდენიმე დეპუტატმა, ხოლო ამავე ბლოკში შემავალი მერაბ კოსტავას საზოგადოება საერთოდ გავიდა პარლამენტიდან. მისი ერთ-ერთი წევრის დ. ხავთასის განცხადებით, საზოგადოების წევრები თავიდან იწყებენ ბრძოლის იმ გზას, შიმშილისა და მიტინგებისას, რომელმაც ისინი პარლამენტში მოიყანა.

შექმნილი რთული ვითარების დროს, პრეზიდენტი შეეცადა თავიდან აეცილებინა განხეთქილება.

ბატონ ზვიად

გამსახურდიას მიერ

წარმოთქმული სიტყვა:

პატივცემულო დეპუტატებო! მოგმართავთ უპირველეს ყოვლისა ოპოზიციის წარმომადგენლებს — ჩვენ გაღიარებთ თქვენ, ვითარცა საპარლამენტო ოპოზიციას, ვინაიდან, სხვაგვარი ოპოზიცია ჩვენ არ გვწამს და არ არსებობს კულტურულ და ცივილიზებულ ქვეყნებში. მე მგონია ამაზე დამეთანხმებით. და თუ ვინმესთან გვსურს დიალოგი, გვსურს თქვენთან, ვინაიდან თქვენ პარლამენტური გზით გამოხატავთ თქვენს სათქმელს და არა ქუჩაში ნაგვის დაყრით, ხულიგნობით და სხვაგვარი მეთოდებით. ამის გამო მე მსურს, რომ სერიოზულად მომისმინოთ და შემდეგ უკვე თქვენი საქმეა პასუხიც და ვთქვათ, პასუხის გაუცემლობაც.

დემოკრატიის არსი, ეს ჩემზე უკეთ, ალბათ, მრგეხსენებათ, მდგომარეობს იმაში, რომ ფიგურირებს კანონის უზენაესობა, იმ კანონების უზენაესობა, რომელსაც ხელისუფლება შეიმუშავებს. სხვაგვარი გაგება დემოკრატიისა, მე მგონია, არ არსებობს. თუ ჩვენ გვაქვს დღეს უზენაესი ხელისუფლების სტატუსი, თუმცა ვინმეს შეიძლება არ მოსწონს ეს ხელისუფლება, ასე თუ ისე, ანგარიში უნდა გაეწიოს იმას, რაც მოდის ამ ხელისუფლებისგან და იმ კანონთა უზენაესობას, რომელთაც იგი ადასტურებს. კი, ბატონო, ეს კანონები იბადება მხარეთა ჰიდელში და ოპოზიციის კონსტრუქციულ წინადადებებში ხშირად, მაგრამ, როდესაც იმარჯვებს, ვთქვათ. ხმის უმრავლესობის პრინციპი, განა ეს პარლამენტური გადაწყვეტა არ არის გზისა?! რატომ უნდა გამოუცხადოთ ამას პროტესტი შიმშილობით ან დესტრუქციული სხვა მოქმედებით? მე ეს ვერ გამიგია. ნუთუ არის ამაში რაიმე დიქტატორული? ნუთუ ან პრეზიდენტმა მოახვია ეს თავს პარლამენტს, ან პარლამენტში იყო რაიმე ფეთქმულება? მე მგონია, არ იყო ეს ასე, მეგობრებო!

მე გთხოვთ, ვიპოვოთ ერთმანეთან საერთო ენა. მე ბევრ თქვენთაგანთან მაკავშირებს წლების მეგობრობა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ახლა დაპირისპირებულ მხარეებს წარმოვადგენთ, რაც მე, სხვათა შორის, ძალიან მწყინს და მტანჯავს. გავიხსენოთ ის ყოველივე კეთილი, რაც ყოფილა ჩვენს შორის და რამაც გვაბრძოლა ამდენ ხანს საქართველოს კეთილდღეობისათვის; და გავიხსენოთ უმძიმესი წუთები, რომლებიც ერთად გაგვიტარებია, მხარდამხარ ვყოფილვართ ჩვენი ეროვნული მოძრაობისა და ბრძოლის პერიოდში და მოდით, ახლაც ვიპოვოთ საერთო ენა.

მე მოგიწოდებთ! მოგიწოდებთ არა იმიტომ, რომ მე მემუქრება რაიმე საფრთხე და ჩემს პოსტს და ჩემს თანამდებობას, არ არის ასე! მე მგონია დამეთანხმებით: საქართველოა საფრთხის ქვეშ! საქართველოა უდიდესი საფრთხის წინაშე! უდიდესი! მერწმუნეთ, რომ ის პოლიტიკური პრობლემები, რომლებიც ჩვენი გადასაწყვეტია, ჩვენიც და ოპოზიციისაც, ერთად, თუ არ მოგვარდა უახლოეს ხანებში, შეიძლება უახლოეს საათებში, შეიძლება ამას მოჰყვეს კატასტროფული შედეგი, და, რაც ყველაზე მთავარია, მესამე ძალა უკვე აცხადებს პრეტენზიას, ამ პრობლემების მოგვარებაში პრიორიტეტისას. მესამე ძალა უკვე გამოდის ურცხვად, ღიად, განცხადებით, რომ ის მოაგვარებს ამ პრობლემებს. ხომ მეთანხმებით? მე მგონია, გუშინდელი გამოსვლა ბატონ ნოდარისა და აქაც მისი განცხადება, იმის დასტურია, რომ მესამე ძალა ემზადება, ჩვენს მაგიერ და თქვენს მაგიერ მოაგვაროს საქართველოს პრობლემები და როგორც იცის მან ამ პრობლემების მოგვარება, შესანიშნავად მოეხსენება ყველას. ამიტომ, მეგობრებო, ამ ახალგაზრდების უპასუხისმგებლო საქციელი დავგმოთ ახლა ჩვენ, მათ მოვუხმოთ ისევ პარლამენტში, გავაკეთოთ კოლექტიური განცხადება, აისახოს თუნდაც ის უთანხმობა, რომელიც ჩვენს შორის არსებობს, ჩვენსა და ოპოზიციას შორის, კვლავ დავსხდეთ ერთად და განვაგრძოთ ამ პრობლემებზე ფიქრი. წინააღმდეგ შემთხვევაში მე, როგორც პრეზიდენტი, ვიხსნი სრულ პასუხისმგებლობას ყოველივე იმისგან, რაც მოსალოდნელია. პარლამენტის დიდი ნაწილიც მოიხსნის პასუხისმგებლობას და პასუხისმგებლობა დაგეკისრებათ თქვენ. მაპატიეთ ასეთი კატეგორიული განცხადებისთვის, მაგრამ მდგომარეობის სერიოზულობა მაიძულებს, რომ ეს ვთქვა და თქვენ როგორც გნებავთ, ისე გადაწყვიტეთ. აი, ამიტომ გთხოვთ კიდევ ერთხელ: შეიკავოთ თავი ახლა პარლამენტის დატოვებისაგან და კონსტრუქციული გზით გადაწყვიტოთ ყველაფერი ის, რაც გვაქვს სათქმელი, ყველაფრის ჩათვლით! მოგიწოდებთ დიალოგისკენ ყველა პრობლემაზე.

ბატონ ნოდარ

ნათაძის მიერ

წარმოთქმული სიტყვა:

სავსებით ვეთანხმები ბატონ პრეზიდენტს მის მიერ კონსტანტირებულ ჰეშმარიტებებში. ჩვენი ამოცანაა, ამ უაღრესად კრიტიკულ ვითარებაში ვიხსნათ საქართველო, დავიცვათ იგი ყველა იმ გარემოებათა გათვალისწინებით, რომლებიც რეალობას წარმოადგენენ, განურჩევლად იმისა, რომელ პიროვნებას და რომელ ძალას რა წვლილი მიუძღვის ამ გარემოებათა შექმნაში. გარემოებები — გარემოებებია, ფაქტები — ფაქტებია და ჩვენ, მათ ანგარიში უნდა გავუწიოთ.

ეს ზოგადად!

მინდა ჩვენი ფრაქციის პოზიცია გაგაცნოთ და კიდევ ერთი-ორი სიტყვაც დავუმატო. დეპუტატს აქვს ორგვარი მოვალეობა: ერთი — ძირითადი, ქვეყნის წინაშე, რომ სწორი კანონები და გადაწყვეტილებები მიიღოს და ა. შ. მეორე — უშუალოდ თავის ამომრჩეველთა წინაშე. ჩვენ მაჟორიტარული წესით გასულები ვართ და ჩვენი ამომრჩევლები კატეგორიულად მოითხოვენ, რომ მათთვის ხილული იყოს, ასე თქვათ, გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი. ეს პროცესი უხილავია მათთვის. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ტელეგადაცემა არ ხდება და მერე იმიტომ, რომ ხდება ის, რაც არც ერთ ქვეყანაში არ ხდება, არ ხდება პუბლიკაცია სხდომების სრული სტენოგრამისა. ამიტომ ამომრჩეველთა პრეტენზია ჩვენს მიმართ სამართლიანია და ჩვენ გვინდა თუ არ გვინდა, ვალდებულნი და იძულებულნი ვართ ეს სურვილი როგორლაც დავაკმაყოფილოთ.

მეორე: ჩვენ დღეს, უფრო ზუსტად, აი, ამ სხდომაზე, რომელზეც ახლა ვართ, გველის უპირველესი განსახილველი პრობლემები. შესაძლოა არც ერთ სხდომაზე ჩვენ ასეთი უპირველესი პრობლემები არც შეგვხვედრია. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ, სამწუხაროდ, ჩვენ უმცირესობა გამოვდივართ, რაღაცას ვამბობთ. რაღაცა წინადადებას ვაყენებთ. ბუნებრივია, რომ ეს წინადადება არ გადის, უმცირესობა უმრავლესობასთან ვერ მოიგებს. შეიძლება გამონაკლის შემთხვევაში მოიგოს რაღაცა. ფიქსაცია არ ხდება იმ აზრისა, სახელობითი კენჭისყრა არ ხდება და ყველას ერთნაირად გვეკისრება პასუხისმგებლობა ყველაფრისათვის. მე ბევრჯერ ვხვდები შემთხვევას, როცა ქუჩაში ვიღაცა გამაჩერებს, ძალიან შიმშთხვნი ტონით, საკმაოდ აგრესიულად და ამბობს, ესა და ეს რატომ არის ასე და ასე. მე ვეუბნები, რომ მე ამას ტყუილად მეუბნებით, მე ვარ უმცირესობის წარმომადგენელი და ჩემი აზრით, ჩემი ზრახვა არ არის საკმარისი, რომ საკითხი გადაწყდეს ამა და ამ მიმართულებით. პასუხი ასეთია დაახლოებით: — ეგ რა ჩემი საქმეა, იქა ხარ, კეთილი ინებე და ყურადღება მიაქციე ამას ყველაფერს, ეს ყველაფერი იყოს კარგად... ამიტომ, ჩვენი, როგორც პარლამენტის წევრების, როგორც პიროვნებების უფლებაა რაღაცა ზომით მაინც გამოვხატოთ ის, რომ ჩვენ არა ვართ პასუხისმგებელნი ყველაფერზე, რაც ხდება ე. ი. უმცირესობა არ არის პასუხისმგებელი ყველაფერზე, რაც ხდება. ამიტომ ჩვენ ჩვენი პირობა უნდა შევასრულოთ, სხვა უფლება არც გვაქვს და უნდა დავტოვოთ დღევანდელი სხდომა.

ახლა კიდევ ერთი რამ მინდა გითხრათ: ჩვენ ვფიქრობდით და ვფიქრობთ, გამოვიტანოთ, გარდა იმ მძიმე საკითხებისა, რომლებიც უკვე არის დღის წესრიგში, გამოვიტანოთ კიდევ ძალიან მძიმე კომპლექსი საკითხებისა. არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ გარკვეული პიროვნებები, მათ შორის ჩვენი ფრაქცია, მთლიანად კრიტიკულად ვართ განწყობილნი იმ პოლიტიკისადმი (მე ხაზს ვუსვამ: უმრავლეს შემთხვევაში და არა ყოველთვის), რომელიც ტარდება. პირადად ჩემი აზრია (და ეს არა მარტო ჩემი აზრია!), რომ თუ ასე გაგრძელდა, მარტივად რომ ვთქვათ, გადავიჩეხებით! ამიტომ, ჩვენი სურვილია, რომ, რა თქმა უნდა, კანონიერების ფარგლებში რადიკალური ცვლილებები მოხდეს საქართველოს მართვის წესში. ამის თქმას ჩვენ ვაპირებდით 2 სექტემბრამდისაც, კერძოდ, პირადად მე ასე მჭონდა წარმოდგენილი ვითარება, რომ პარლამენტს უნდა მიეღო გარკვეული კანონმდებლობითი აქტები, რომლითაც შეიზღუდებოდა, მკვეთრად, თვალშისაცემად, პრეზიდენტის უფლებამოსილებები და ჩვენ ძალიან დიდი ნაბიჯით მივუახლოვდებოდით უფრო კოლექტიური, უფრო წარმომადგენლობითი და უფრო ურთიერთკრიტიკისმომცველი და უფრო ურთიერთკრიტიკის შესაძლებლობის შემქმნელი მართვის ფორმას.

კიდევ, რატომ გვქოხდა ასეთი მოტივი: დამიჯერეთ, მე ძალიან დიდი ხათრი მაქვს ბატონ ზვიადისა, რომელსაც დიდი ხანია ვიცნობ, მაგრამ მე ვალდებული ვარ ვთქვა, რომ, ჩვენდა სამწუხაროდ, ის იმიჯი, რომელიც ჩვენს პრეზიდენტს დიდად სჭირდება მსოფლიოში, მაპატიეთ ეს გამოთქმა, გამოუსწორებელია!

დასავლეთის პრესაში, რომელიც, ფაქტობრივად, განუყოფლად ბატონობს თანამედროვე მსოფლიოში და ჩვენ იძულებული ვართ ანგარიში გავუწიოთ, აი, იქ ამ მხრივ ჩვენი რესპუბლიკის პრესტიჟიც ძალიან დაცემულია. ამიტომ მე მიმაჩნდა და მომაჩნია, რომ ჩვენმა პარლამენტმა რაღაცა ფორმით ძალიან მკაფიოდ ილუსტრირება უნდა მოახდინოს იმისა, რომ ეს კურსი არ არის ან აღარ არის მთლიანად საქართველოს კურსი, რომ არსებობს რაღაცა სხვა ძალები, რაღაცა სხვა ტენდენცია, რომ დღეიდან, ხვალიდან თუ ზეგიდან ჩვენი მიმართულება სხვა გზით მიდის.

ჩვენ უნდა მოვახერხოთ, რაღაცნაირად, რომ მსოფლიოს ვუჩვენოთ ნათელი სურათი იმისა, რომ ამიერიდან ჩვენი კურსი იქნება სხვა და ნელ-ნელა დავიწყოთ ამ ჩვენი უაღრესად ცუდი მდგომარეობიდან გამოსვლა. ამიტომ ჩვენ ვალდებულნი ვართ წამოვაყენოთ ჩვენი წინადადებები პრეზიდენტის ხელისუფლების თაობაზე (თუმცა არა ვართ დარწმუნებულნი, რომ პარლამენტი ამას მიიღებს...)

(დასასრული მე-2 გვ.).

ქრონიკა ინფორმაცია

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა **ოთარ ფიხელიანი ძე ჯაფარიძე** დანიშნა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად.

●

სომხეთის რესპუბლიკის პარლამენტმა ცნო საქართველოსა და ბალტიის სახელმწიფოების დამოუკიდებლობა.

●

განათლების სამინისტრომ გაითვალისწინა რა რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური ვითარება, 1991-1992 წელს სასწავლო წლის დაწყება გადადო ყველა ტიპის სასწავლო დაწესებულებებში.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე

(დასასრული)

რის უფლება გვაქვს ჩვენ?

უფლება გვაქვს კანონმდებლობით პრეზიდენტის ხელისუფლების შეზღუდვისა. გარდა ამისა, ჩვენ უფლება გვაქვს მივიღოთ გადაწყვეტილება პრეზიდენტის ინსტიტუტის როგორც ასეთი, გაუქმების შესახებ. ეს არ არის დაკავშირებული პიროვნებებთან. ეს არის დაკავშირებული სულ სხვა, უფრო ღრმა და უფრო არსებით მოსაზრებებთან. როდესაც არ არსებობს ე. წ. სამოქალაქო საზოგადოება, ანუ, ფაქტობრივად, თავისუფალი და სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი საზოგადოება, მაშინ პრეზიდენტის ხელისუფლება, ფსიქოლოგიურად და, რაც მთავარია, სოციალურად, ბუნებრივი წესით, გარდაიქმნება ერთპიროვნულ ხელისუფლებად დიქტატურის ნიშნებით. ეს არ მოხდებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ქვეყანაში არის ჩამოყალიბებული სამოქალაქო საზოგადოება და ჩამოყალიბებული საზოგადოება კი არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ქვეყნის ყველა უჯრედში გამჯდარია ეკონომიკური თავისუფლება. ჩვენ დღეს ამ სტადიაზე არა ვართ, მე იმედი მაქვს, ჩვენი ხალხის ნიჭიერებიდან გამომდინარე და ი ქედან გამომდინარე, რომ არაერთი მაგალითი გვაქვს წინ, იქნებ ერთ-ორ წელიწადში ეს გზა გავიაროთ დრაღაცა შეიქმნას. ეს ყველაზე ოპტიმალური ვარაუდია. მაგრამ სანამ ეს არ არის, სჯობს ობიექტურ ჭეშმარიტებას თვალი გავუსწოროთ და ამის შესაბამისად დავგეგმოთ ჩვენი საქმიანობა. არ დაგიმალავთ. ჩემი კრიტიკული დამოკიდებულება, ასე ვთქვათ, სტრატეგიისა და ტაქტიკისადმი მოიცავს იმასაც, რომ ჩვენი კურსი, ჩვენი ენა, რომლითაც ველაპარაკებით ჩვენს პარტნიორებს, უნდა იყოს უფრო მკვეთრი. უნდა იყოს კატეგორიული და ბოლომდე მკვეთრი. ამ უარსებითესი ჯადწყვეტილებების მიღება არ შეიძლება ხდებოდეს ერთი პიროვნების მიერ. ეს უნდა ხდებოდეს უფრო ფართოდ და რაც მთავარია, უფრო კრიტიკული დამოკიდებულების შესაძლებლობის პირობებში. აი, ყოველივე ამის გამოტანა გვინდოდა და გვინდა სესიაზე. რა თქმა უნდა, თუ გაგრძელდა სესია და ჩემი თხოვნაა, რომ გაგრძელდეს. აი ეს არის ჩვენი განაცხადი. ეს არის ის პუნქტი, რომელზეც ჩვენ გვინდოდა და გვინდა, რომ ჩვენი სიტყვა, ასე ვთქვათ, ხალხს ღიად ვუთხრათ.

●

მას შემდეგ, რაც 39-მა დეპუტატმა დატოვა სხდომა, დეპუტატების გადაწყვეტილებით სესიამ მუშაობა განაგრძო.

შემდგომ, სესიაზე დადგა კომპარტიიდან დასახელებული დეპუტატების სტატუსის საკითხი. გადაწყვეტილების კანონთან გარკვეული შეუთავსებლობის გამო, ამ დეპუტატთა უმეტესობამ დატოვა დარბაზი.

შემდეგ სესიამ განიხილა დადგენილება ჰელსინკის „ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დასკვნით აქტსა“ და ვენის „ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის შემჯამებელ დოკუმენტებზე“ საქართველოს რესპუბლიკის შეერთების შესახებ, მიმართვები გაეროსა და მსოფლიოს სახელმწიფოებს და დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე გაწლაგებული სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სტატუსის შესახებ. მას საოკუპაციო ჯარის სტატუსი განესაზღვრა და აღინიშნა, რომ საჭიროა დაიწყოს მოლაპარაკება მათი საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანის შესახებ.

სესიამ განიხილა ბ. გულუას საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილედ დანიშვნის, თ. სიგუას მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლების, გ. ხოშტარიას საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლების, მ. ომანიძის საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პირველ მოადგილედ და საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნის შესახებ. სხდომაზე განიხილეს ეკონომიკისა და მრეწველობის კომისიების შეერთების საკითხი. მის თავმჯდომარედ არჩეულია გ. თაქთაქიშვილი.

სესიამ მიიღო კანონები საქართველოს რესპუბლიკის საბაჟოსა და საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო სივრცის შესახებ.

დღის ბოლოს დეპუტატებმა იმსჯელეს 1991 წლის 2 სექტემბერს თბილისში მომხდარი ინციდენტის შესახებ. დეპუტატებმა დაგმეს დარბევის ფაქტი, სამართალდამცავი ორგანოების კანონსაწინააღმდეგო მოქმედება, აღინიშნა რომ არ შეიძლება ხალხთან იარაღის ენით ლაპარაკი, საკითხის ირგვლივ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ აღნიშნა, რომ არავის არ გახსენებია, არ გამოუთქვამს მოსაზრება, თუ ვის წინააღმდეგ იყო ეს ყოველივე მიმართული და ვინ დაზარალდა ყველაზე მეტად ამ სავალალო ინციდენტის შედეგად. ამით ყველაზე მეტად დაზარალდა რესპუბლიკის პრეზიდენტი. რომ ეს იყო მიმართული პირველ რიგში პრეზიდენტის წინააღმდეგ, ჩვენი ხელისუფლების წინააღმდეგ, რასაკვირველია, პარლამენტის წინააღმდეგ. მზადდებოდა ცნობა საქართველოს ცნობის შესახებ უცხოეთის ქვეყნების მიერ, დელეგაციის ჩამოსვლა მისადაგებული იყო სწორედ ამასთან და აი, ის უნდა ჩაშლილიყო. და მეაღწიე კიდევაც. ნუთუ ვერ ვხედავთ, რომ ერთადერთი მიზანი ყოველივე ამისა იყო ეს. მე იმას არ ვამბობ, რომ ეს მხოლოდ მომიტინგეებიდან მოდიოდა და მხოლოდ პროვოკატორებიდან, რომელთაც მოაწყეს ექსცესები. არა, მეგობრებო! მე მწარე სიმართლე უნდა ვთქვა: მილიციაში შემოპარული არის ჩვენდამი მტრულად განწყობილი ძალები. ეს აშკარაა! ამაში მე მინისტრიც მეთანხმება. ეს არის ჩვენი ხელისუფლების არსებობის მთელი ტრაგიზმი. რომ ჩვენ მოვედით ხელისუფლებაში და დაგვხვდა წინა ხელისუფლების აპარატი, იგივე მილიცია და მართალია, მილიციამ უდიდესი ცვლილება განიცადა 9 აპრილის შემდეგ, არჩევნების შემდეგ, დიდი ნაწილი ჩვენს მხარეს არის, მაგრამ, არაა დამალული, რომ იქ მტრული ძალებიც მოქმედებენ.

სესიამ ამ საკითხზე მიიღო დადგენილება, რომელშიც ნათქვამია:

1. დაიგმოს ამა წლის 2 სექტემბერს მომხდარი ექსცესები და მიტინგის დროს ძალის გამოყენების ფაქტი;

2. ცნობად იქნას მიღებული. რომ ამ ფაქტის გამო საქართველოს რესპუბლიკური პროკურატურის მიერ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება;

3. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა მომხდარი ფაქტის ყოველმხრივი შესწავლისა და სათანადო დასკვნების გამოტანის მიზნით შექმნას საპარლამენტო კომისია ყველა რეგისტრირებული პარტიისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით;

4. კომისიის მიერ გამოტანილი დასკვნები სათანადო ზომების მისაღებად წარედგინოს უზენაესი საბჭოს სესიას.

ამით საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს მეორე სესიის პირველმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

●

და კიდევ: სესიაზე დეპუტატ ნ. ნათაძის განცხადებით, შენობის გარეთ ანგარიშსწორებისათვის მას ელოდება ადამიანთა ჯგუფი და მოითხოვა ზომების მიღება. ზომები მართლაც მიღებულ იქნა და ჩვენი მილიციის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან პრინციპში შესძლო ნ. ნათაძისა და მასთან ერთად გამოსული რამდენიმე დეპუტატის დაცვა, რომელთაც შენობიდან გამოსვლისას გამოეკიდა რამდენიმე გაბრაზებული პიროვნება, — ეჭვი გვაქვს, მოსაფერებლად არა. როგორც სურათზე ხედავთ, საქმეში თვით შინაგან საქმეთა მინისტრის ჩარევაც კი გახდა საჭირო.



ოლეგ გველესიანის ფოტოები.

თბილისი კვლავ ბოიკოტრობს

ყოფილი „იმელის“ შენობის წინ.

რესპუბლიკის დედაქალაქში გრძელდება 2 სექტემბრის შემდეგ დაწყებული საპროტესტო აქციები, მიტინგები და დემონსტრაციები, რომელთა ძირითადი ნაწილი კვლავ რესპუბლიკის პრეზიდენტს და მოქმედ ხელისუფლებას უცხადებს პროტესტს, ერთი ნაწილი კი მათი მხარდამჭერია.

რუსთაველის პროსპექტი ისევ საბრძოლველად გამზადებულ ველს მოგაგონებთ — ბარიკადები, ავტობუსებით ჩახერგილი მისასვლელები, მომწოდებლური საპროტესტო პლაკატები, მოშიმშილენი... ხანდახან გეჩვენება, რომ ბარიკადების სხვადასხვა მხარეს მდგარ ადამიანებს — ქართველებს — აღარაფერი დაგვრჩა საერთო: აღარც სისხლი, აღარც გენი, აღარ. გული... არადა ეს გული ხომ ყველას ისევ ერთი საერთო მიზნისთვის გვიძგერს — საქართველოს დამოუკიდებლობისთვის, მაშ, რა გვემართება დიდს და პატარას, უფლებიანს თუ უუფლებოს?.. როდის მოვალთ გონს?.. აი, კითხვები, რომლებიც დღესვე მოითხოვს პასუხს, რადგან ხვალ გვიან იქნება

ოპერატიული ინფორმაცია: გუშინ დედაქალაქის რამდენიმე ადგილას გაიმართა მიტინგები.

გუშინ, დღის პირველ საათზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინ მოეწყო საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობის დროებითი კავშირისა და ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ერთობლივი მიტინგი. მიტინგს უძღვებოდნენ სტუდენტური ახალგაზრდობის დროებითი კავშირის წევრი გიორგი მაისურაძე და ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის წევრი ვალერი ვაშაკიძე.

მიტინგზე სიტყვით გამოსულ საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლების, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების, საზოგადოებრიობის სხვა წარმომადგენლების ძირითადი მოთხოვნა იყო საქართველოს პრეზიდენტის გადადგომა, პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმება.

მიტინგზე გამოცხადდა, რომ საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობის დროებითი კავშირი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პირველი სასწავლო კორპუსის წინ იწყებს მჯდომარე საპროტესტო აქციას.

მიტინგის დასასრულს მისი მონაწილეები გაემართნენ რუსთაველის მოედნისაკენ, სადაც დღის 4 საათზე შედგა საპროტესტო მიტინგი ყველა ოპოზიციური პარტიის, ორგანიზაციის და საზოგადოებრიობის მნიშვნელოვანი ნაწილის მონაწილეობით.

იმავე დღეს მთავრობის სახლის წინ გაიმართა რესპუბლიკის პრეზიდენტისა და ხელისუფლების მხარდასაჭერი მიტინგი.

საკუთარი ინფორმაცია.

მთავრობის სახლის წინ.

სახელმწიფო უნივერსიტეტის წინ.

ზურაბ ქავთარაძის ფოტოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1991 წლის 14 სექტემბერს საქართველოს ჟურნალისტთა სახლში გაემართული კრების მონაწილეთა წერილი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მეორე სესიას

14 სექტემბერს ჟურნალისტთა სახლში გაიმართა ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის წევრთა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ჟურნალისტების კრება, რომელზეც ისაუბრეს მიმდინარე მოვლენებში ჟურნალისტთა კავშირის, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს როლის შესახებ. კრების მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს ტელერადიო დეპარტამენტის შენობასთან მიმდინარე ტელეჟურნალისტთა საპროტესტო აქციას და მიიღეს წერილი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიისადმი.

ჩვენ, საქართველოს ჟურნალისტთა სახლში გამართული კრების მონაწილეებს, მიგვაჩნია, რომ რესპუბლიკაში უკანასკნელ ხანებში განვითარებული რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები საკმაო ხანია მოითხოვდა, როგორც ყველა ჟურნალისტის, ასევე, კერძოდ, საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის გამგეობის აქტიურ, ადეკვატურ გამოხმაურებას.

ვავსებთ ამ ხარვეზს და მოგახსენებთ შემდეგს:

1. დღეს საქართველოში აშკარად ირღვევა საყოველთაოდ აღიარებული პრესის თავისუფლების პრინციპები, აგრეთვე, რესპუბლიკის კანონი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ;

2. საქართველოს ტელევიზია და რადიომაუწყებლობა მონოპოლიზებულია, არის ტელერადიომაუწყებლობის არხების ჩახშობისა და შეწყვეტის, ალტერნატიული აზრის იგნორირების ფაქტები;

3. არსებითად იგივე ვითარებაა პრესაშიც.

იყო გაზეთების დახურვის მცდელობა, ზოგიერთ გაზეთს უსაფუძვლოდ გამოეცალა სტატუსი;

არის მკითხველთა ინტერესების შელახვისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გავრცელებისათვის ხელის შეშლის შემთხვევები;

4. ამას ემატება რედაქციების, ტელევიზიისა და რადიოს საინფორმაციო სამსახურების, ცალკეული ჟურნალისტების მხრივ მორალური და ეთიკური ნორმების დარღვევების. საზოგადოების გამთიშველი, წამქეზებლური იდეების პროპაგანდის გამოვლინებანი;

ყოველივე ამას მოჰყვა ტელერადიოჟურნალისტთა ერთი ჯგუფის საპროტესტო მჯდომარე აქცია. რომელსაც კრების მონაწილენი სოლიდარობას ვუცხადებთ.

კრების მონაწილენი მოვითხოვთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერვე მიღებული პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ მიღებული კანონის განუხრელად დაცვას.

უზენაესმა საბჭომ უნდა დაგმოს პრესაზე ზემოქმედებისა და დიქტატის ყოველგვარი მცდელობა.

ვდგავართ რა თავისუფალი, დემოკრატიული პრესის პოზიციებზე, ვაცხადებთ, რომ არ გამოვხატავთ არც ხელისუფლების, არც რომელიმე პოლიტიკური მიმდინარეობისა თუ პარტიის ინტერესებს — ამ რთულ დღეებში ჩვენი მიზანი ერის, საზოგადოების გამთლიანება, კონსტიტუციური ხელისუფლების განმტკიცებაა.

ქართველი ფეხბურთელები უცხოეთში

როგორც გულშემატკივრებმა იციან, ამჟამად უცხოეთში ქართული ფეხბურთის შვიდი წარმომადგენელია სხვადასხვა კონტრაქტით. რა თქმა უნდა, ეს რიცხვი რაც უფრო გაიზრდება, მით უკეთესი იქნება ქართული ფეხბურთისათვის. ამის ერთადერთი და უპირველესი მიზეზი კი ის გახლავთ, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლება მივიქციოთ მსოფლიოს საფეხბურთო სამყაროს ყურადღება.

ყველაზე წარმომადგენლობითი ქართული „დესანტი“ კვიპროსზეა. სადაც თემურ ქეცბაია და დავით მახარაძე თამაშობენ, ხოლო ვლადიმერ გუცაევი მეორე მწვრთნელად მუშაობს. სამწუხაროდ, მათ შესახებ არავითარი ინფორმაცია არ გამჩენია, თუმცა კი ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ სამივე მათგანი ღირსეულად წარმოაჩენს ქართული ფეხბურთის სახეს. ისევე, როგორც პოლონეთის წლევანდელი თასის მფლობელი კატოვიცის „გკს“-ს ცენტრფორვარდი გია გურული, რომელიც მძიმე ტრავმის შემდეგ ამჟამად გუნდის ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო მოთამაშეს წარმოადგენს. შვეიცარიში მყოფ კახი ცხადაძესა და სოსო ჰედიაზე „ახალგაზრდა ივერიელი“ არაერთხელ წერდა და, ალბათ, არც ახლა იქნება მკითხველისათვის ინტერესმოკლებული მათი ახალი ამბები. თუმცა, არც მთლად სასიკეთო... კლუბი „სუნდსვალი“, რომელშიც გამოდიან ყოფილი იბერიელები, მოგეხსენებათ, შვეიცის პირველი (ჩვენებურად — უმაღლესი) ლიგის დებიუტანტია და თავიდანვე სატურნირო ცხრილის ბოლოში მოექცა. მას შემდეგ, რაც კლუბში ქართველი ფეხბურთელები მოვიდნენ, „სუნდსვალმა“ აშკარად მოუმატა თამაშს და სახიფათო ზონასაც დააღწია თავი, წარმატებით გამოდიოდა შვეიცის ეროვნული თასის გათამაშებაზეც, მაგრამ...

„სუნდსვალს“ არც ცხადაძისა და ჰედიას შესანიშნავმა თამაშმა ვერ უშველა და პირველი ლიგის ოთხ უკანასკნელ გუნდს მორის მოხვდა, რომლებიც მეორე ლიგის ოთხ საუკეთესო გუნდთან ერთად ორწრიან ტურნირში გაითამაშებენ და პირველი რიგის საგზურებს. თავიდან „სუნდსვალმა“ პირველ სამ ტურში ოთხი ქულა მოაგროვა, შემდეგ კი წარუმატებლობის სერია დაიწყო.

როგორც სატელეფონო საუბარში მითხრეს კახი ცხადაძემ და სოსო ჰედიამ, თუ კვირას (ე. ი. 15 სექტემბერს) მათი გუნდი ვერ გამარჯვებდა, ალბათ, მომავალი სეზონიდან „სუნდსვალი“ მეორე ლიგაში აღმოჩნდება. ჩვენი საუბარი კი პარასკევს, 13 სექტემბერს, შედგა გვიან ღამით და, ასე რომ, გუშინწინდელი მატჩის შედეგი ჩვენთვის უცნობია.

რაც შეეხება შვეიცის ეროვნული თასის გათამაშებას. „სუნდსვალმა“ მეოთხედფინალში მარცხი იწვნია მეორე ლიგის გუნდთან, თანაც პენალტების სერიით. არადა, ნახევარფინალში ერთობ სუსტი მეტოქე ელოდა, და იქ წარმატების შემთხვევაში ფინალში „გიოტებორგს“ უნდა შეხვედროდა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ „გიოტებორგი“ დამაჯერებლად ლიდერობს შვეიცის ჩემპიონატში, მაშინ „სუნდსვალს“ ავტომატურად ეძლეოდა ადგილი თასების მფლობელთა თასის მომავალი წლის გათამაშებაში...

ასეა თუ ისე, მიუხედავად კლუბის სუსტი გამოსვლისა, ორივე ქართველი ფეხბურთელი კვლავ შესანიშნავ თამაშს აჩვენებს, მათ ანგარიშზე. რამოდენიმე გოლიც აჩის და, ალბათ, უახლოეს მომავალში, კახი ცხადაძესაც და სოსო ჰედიასაც უფრო მაღალი რანგისა და კლასის გუნდებში ვიხილავთ.

ამაზე კი შემდგომში...

გია ტუხაშვილი

თელავის სოციალური ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1991-1992 სასწავლო წლისათვის დასწრებული სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:

1. სოციოლოგია;

2. ბიზნესი; ა) წარმოების ეკონომიკა და მართვა — მენეჯერი; ბ) საბაზრო ეკონომიკა, ვაჭრობის მართვა და კომერციული საქმიანობა — კომერსანტი.

თელავის სოციალურ ინსტიტუტში სასწავლო პროცესს გაუძღვებიან ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები და დოცენტები. ინსტიტუტში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე მოქალაქენი, ასაკის მიუხედავად. ინსტიტუტში შემსვლელები რაიმე შეღავათებით არ სარგებლობენ.

ინსტიტუტში აბიტურიენტთა შერჩევა მოხდება საკონკურსო წესით;

გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში:

I. სოციოლოგიის სპეციალობაზე:

1. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);
2. საქართველოს ისტორია (ზეპირი).

II. ბიზნესის ფაკულტეტზე

ა) წარმოების ეკონომიკა და მართვა — მენეჯერი; ბ) ვაჭრობის მართვა და კომერციული საქმიანობა — კომერსანტი.

1) ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);
2. მათემატიკა (წერა).

ინსტიტუტში აბიტურიენტები ჩაირიცხებიან გამოცდებზე დაგროვილი ქულათა რაოდენობის მიხედვით.

შენიშვნა: იმ აბიტურიენტებს, რომელთაც მიმდინარე წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებზე მიიღეს დადებითი შეფასება, შეეძლიათ იქ დაგროვილი ქულებით მიიღონ მონაწილეობა კონკურსში.

ინსტიტუტში სწავლა ფასიანია.

ინსტიტუტში სწავლების ვადა 5 წელია.

ინსტიტუტში შემსვლელებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1 საშუალო განათლების დოკუმენტის დედანი;

2. სამედიცინო ცნობა ფორმა (№ 086);

3. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან;

4. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან;

5. 6 ცალი ფოტოსურათი (ზომით 3X4);

6. პასპორტი და სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობა უნდა წარმოადგინონ პირადად.

ინსტიტუტში ჩარიცხული აბიტურიენტები ვალდებულნი არიან სწავლის საფასური გადაიხადონ ჩარიცხვის სიების გამოქვეყნებიდან ერთი კვირის განმავლობაში.

საბუთების მიღება იწყარმოებს 16 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე — ჩათვლით, დილის 9 საათიდან 17 საათამდე. გამოცდები ჩატარდება 3 ოქტომბრიდან 6 ოქტომბრამდე.

სწავლა დაიწყება 10 ოქტომბერს.

ინსტიტუტის მისამართია: ქ. **თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. № 1. (თელავის სამშენებლო კოლეჯის შენობაში) ტელეფონები: 3-34-40, 3-34-41.**

თქვენ გახდებით

ფართო პროფილის დიპლომირებული მენეჯერი

თუ გაქვთ უმაღლესი განათლება, არანაკლებ 2 წლის მუშაობის სტაჟი, ხართ 40 წლამდე ასაკისა და წარმატებით გაივლით თბილისის მენეჯერთა სკოლაში დასასვლეთის ქვეყნებში ფართოდ გავრცელებულ «საქმიანი ადმინისტრირების მაგისტრის» საბაზო სწავლების 9 თვიან პროგრამას, რომელსაც ქართველი და უცხოელი მასწავლებლები გაუძღვებიან.

სასწავლო კურსის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში თქვენ მიიღებთ მეორე უმაღლესი განათლების დიპლომს და თბილისის მენეჯერთა სკოლის სერტიფიკატს.

თქვენ შეისწავლით ბიზნესის საფუძვლებს, ფინანსების მართვას, საბაზრო ეკონომიკას, მარკეტინგს, მენეჯმენტს, ხელმძღვანელობის ხელოვნებას, ინფორმატიკას, ბიზნესის მათემატიკას, სამართლის საფუძვლებს, უცხო ენას. თბილისის მენეჯერთა სკოლა აღჭურვილია უახლესი კომპიუტერული და აუდიო-ვიდეო ტექნიკით. მეცადინეობები ჩატარდება ქართულ ენაზე. მსმენელები მიიღებენ კონსულტაციებსა და მეთოდურ მითითებებს ყველა ძირითად საბანში.

საუკეთესო მსმენელები სტაჟირებას გაივლიან ავსტრიაში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში ან ინგლისში.

სწავლება ხორციელდება წარმოებისაგან მოწყვეტით.

საჭიროების შემთხვევაში თქვენ უზრუნველყოფილი იქნებით საერთო საცხოვრებლით.

საბუთების მიღება იწყარმოებს 1 ოქტომბრამდე, 10-დან 19 საათამდე, ყოველდღე, გარდა კვირისა. ჩარიცხვა გასაუბრებისა და ტესტირების შედეგების საფუძველზე მოხდება. სწავლა 15 ოქტომბერს დაიწყება.

სწავლის ფასია 8 500 მანეთი. მასში არ შედის სტაჟირების ღირებულება, რომლის ანაზღაურებაც მანეთებში მოხდება.

ავსტრიული ფირმის წარმომადგენელი საქართველოში

თუ გაქვთ უმაღლესი განათლება, საშუალო დონეზე მაინც ფლობთ გერმანულ ან ინგლისურ ენას, ხართ 45 წლამდე ასაკისა, გაქვთ პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება და გაივლით სპეციალურ 9 თვიან კურსს საბარეო-ეკონომიკური საქმიანობის მართვაში.

პროგრამა ავსტრიის სავაჭრო პალატის, ავსტრიის ეკონომიკის განვითარების ინსტიტუტისა და თბილისის მენეჯერთა სკოლის მიერაა მომზადებული. სასწავლო პროცესს ქართველი და ავსტრიელი სპეციალისტები გაუძღვებიან. სასწავლო პროგრამის წარმატებით დაუფლებისა და შესაბამისი სერტიფიკატის მიღების შემთხვევაში თქვენ სწავლას ავსტრიაში გააგრძელებთ. ავსტრიის ეკონომიკის განვითარების ინსტიტუტში საგოლოო გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ მიიღებთ კიდევ ერთ სერტიფიკატს და შესაძლებლობას ინდივიდუალური ერთკვირიანი სტაჟირება გაიაროთ ფირმაში, რომლის წარმომადგენლადაც დაბრუნდებით საქართველოში.

სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს ბიზნესის საფუძვლებს, საბაზრო ეკონომიკის, ფინანსების მართვის, საერთაშორისო მარკეტინგის, ერთობლივი საწარმოების შექმნისა და ფუნქციონირების, საბარეო-სავაჭრო საქმიანობის, ხელშეკრულებათა გაფორმებისა და მოლაპარაკებათა წარმართვის, კადრების მართვის, ბიზნესის მათემატიკის, ინფორმატიკის, უცხო ენის შესწავლას.

საბუთების მიღება იწყარმოებს 1 ოქტომბრამდე, 10-დან 19 საათამდე, ყოველდღე, გარდა კვირისა. ჩარიცხვა გასაუბრებისა და ტესტირების შედეგების საფუძველზე მოხდება. სწავლა 15 ოქტომბერს დაიწყება. მეცადინეობები კვირაში 4-ჯერ, სალამოს საათებში, ჩატარდება.

სწავლის ფასია 10 500 მანეთი. მასში არ შედის სტაჟირების ღირებულება, რომლის ანაზღაურებაც მანეთებში მოხდება.

ცნობებისათვის დარეკეთ: 39-16-73
39-44-57
37-55-16

ჩვენი მისამართია: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 40.

თბილისის მენეჯერთა სკოლა-გზა წარმატებისაკენ.

ᲨᲔᲐᲩᲔᲠᲔᲗ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲖᲔ:

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲐᲚᲣᲠᲘ ᲑᲘᲠᲭᲐ

ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲡ ᲑᲘᲠᲭᲐ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲘᲡᲞᲘᲠᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲑᲘᲠᲭᲐᲐ

ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ დამფუძნებელი ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐ და დაიწყო ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲐ სოხუმის ბირჟის აქციებზე.

ბირჟის დამფუძნებლები არიან: რეგიონის წამყვანი საქონელმწარმოებლები, კომერციული სტრუქტურები და თბილისის უნივერსალური ბირჟა, რომელთა გამოცდილება და წარმატებები სოხუმის ბირჟის წინსვლის გარანტია!

სააქციონერო საზოგადოება სოხუმის ბირჟის საწესდებო ფოხდია 5 მილიონი მან.

აქციის ნომინალური ღირებულებაა 100 000 მან..

პირველი შესატანი 30 000 მან. ოდენობით უნდა გადაირიცხოს საანგარიშსწორებო ანგარიშზე № 000609806, მფო 523101 ქ. სოხუმის მრეწვმშენბანკში არა უგვიანეს ა. წ. 1 ოქტომბრისა.

აქციის ღირებულების დანარჩენი ნაწილის გადახდა იწარმოებს ბირჟის სახელმწიფო რეგისტრაციიდან ერთი წლის განმავლობაში.

აქციებზე ხელმოწერა და იფორმაციის მიღება შეიძლება მისამართზე 384900 ქ. სოხუმი, პუშკინის ქ. 21, ტელ. 2-33-40. ახ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, სოხუმის ბირჟის წარმომადგენლობაში: 380019 ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. 118. საქართველოს სამეცნიერო და კომერციული გამოფენების ეროვნული ცენტრი, პავილიონი № 5, თბილისის უნივერსალური ბირჟა, ტელ.: 35-14-69, 35-44-21.

რეგიონის ბუნებრივი სიმდიდრე, გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობა და მდიდარი სავაჭრო ტრადიციები სოხუმის ბირჟის წარმატების საწინდარია. დაიცავით ინფლაციისაგან თქვენი კაპიტალი — შეიძინეთ სოხუმის ბირჟის აქციები!

ᲬᲐᲠᲜᲐᲢᲔᲑᲐ ᲐᲮᲐᲚ ᲬᲐᲠᲜᲐᲢᲔᲑᲐᲡ ᲒᲕᲞᲘᲠᲓᲔᲑᲐ

20 სექტემბერს და ყოველ მომდევნო ოთხშაბათს რეგულარულად ჩატარდება ვაჭრობა თბილისის უნივერსალურ ბირჟაზე. თქვენ შეგიძლიათ მაქსიმალური მოგებით შეიძინოთ და გაუიდოთ ნებისმიერი საქონელი.

ვაჭრობაში მონაწილეობა შეიძლება მხოლოდ თბილისის უნივერსალური ბირჟის საბროკერო ფირშების მეშვეობით.

ᲒᲜᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ მოგვმართეთ:

380019, ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი 118.

საქართველოს სამეცნიერო და კომერციული გამოფენების ეროვნული ცენტრი, პავილიონი № 5, თბილისის უნივერსალური ბირჟა, ტელ. 35-14-69, 35-44-21.

თბილისის უნივერსალური ბირჟა — თქვენი იღბალია!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

აცხადებს მიღებას 1991 წლისათვის დოქტორანტურაში შემდეგი მიმართულებებით:

— მანქანებისა და მანქანების სისტემების თეორია, მექანიკისა და მართვის პრობლემები რობოტო-ტექნიკურ სისტემებში და ავტომატიზებულ წარმოებებში.

— ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემები, დაპროექტების ავტომატიზაცია, ციფრობრივი გამომთვლელი კომპლექსები და ქსელები.

— ლითონური მასალების მიღებისა და დამუშავების ახალი პროცესების შემუშავება.

დოქტორანტურაში შემომსვლელები რექტორის სახელზე წარმოდგენილ განცხადებას დაურთავენ:

1. კადრების აღრიცხვის ფურცელს ფოტოსურათით,
2. ავტობიოგრაფიას,
3. სადოქტორო დისერტაციის გაშლილ გეგმას,
4. გამოქვეყნებულ სამეცნიერო შრომების, გამოგონებებისა და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ანგარიშების სიას,
5. დახასიათება-რეკომენდაციას სამუშაო ადგილიდან.

საბუთები მიიღება 1-დან 30 სექტემბრამდე ტექნიკური უნივერსიტეტის ასპირანტურისა და დოქტორანტურის განყოფილებაში მისამართით: თბილისი, მ. კოსტავას ქ. 63.

ტელეფონები: 36-64-20 ან 36-21-84.

ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲐᲢᲘ

საქართველოს ჰემოფილიისა და დოხორობის ასოციაცია აწ 20 სექტემბერს 11-ᲡᲐᲐᲗᲖᲔ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲨᲘ ᲨᲔᲙᲠᲘᲑᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲣᲬᲕᲘᲡ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲰᲔᲛᲝᲤᲘᲚᲘᲐᲗᲘ ᲐᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲗ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲡ, ან მის ოჯახის წევრს.

დასწრება აუცილებელია.

ასოციაციის მისამართია: თბილისი — 86, ქავთარაძის ქ. № 23-ა, სისხლის გადასხმის რესპუბლიკური სადგური, ოთ. 322, ელ: 31-90-01.

ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ

ᲕᲐᲭᲘᲠᲐᲕᲔᲑ 55 32 ᲤᲐᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲑᲘᲜᲐᲗ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲗ, ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ ᲝᲤᲘᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲓᲐᲠᲔᲙᲔᲗ: 37-28-77.

ᲕᲣᲘᲓᲔ ᲨᲔᲜᲔᲑᲐᲠᲔ ᲐᲒᲐᲠᲐᲙᲡ ᲪᲮᲕᲐᲠᲘᲙᲐᲛᲨᲘ. ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲠᲔᲙᲔᲗ: 34-28-53.

ᲚᲝᲠᲗᲘᲜᲔᲑᲘ ᲠᲒᲝ

ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲡ ᲡᲞᲝᲜᲡᲝᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲡᲐᲥᲕᲔᲚᲛᲭᲘᲤᲔᲓᲝ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐ „ᲚᲝᲠᲗᲘᲜᲔᲑᲘ“ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲤᲘᲠᲛᲐ „ᲠᲒᲝ“.

ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ

— წიგნებისა და ჟურნალების —
— გაზეთებისა და ბროშურების —
— რეკლამებისა და ბლანკების —
— აფიშებისა და ეტიკეტების —
— სავიზიტო ბარათების —

აწყობა-დაკაბადონებას კომპიუტერული ტექნიკით.

თქვენ შემოგთავაზებენ ქართული, რუსული და ლათინური შრიფტების ფართო არჩევანს.

მაღალკვალიფიციური სპეციალისტები მაქსიმალურად გაითვალისწინებენ თქვენს სურვილებს და დათქმულ ვადაში შეასრულებენ დაკვეთას.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲜᲗ ᲡᲐᲘᲛᲔᲓᲝ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲡ!

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲐ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ 130, ᲢᲔᲚ: 35-26-44; 34-05-14.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲢᲘᲙᲐᲛᲠᲘᲝ-Ს ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲗᲐ

ᲘᲛᲔᲠᲘᲝ

1. ᲘᲛᲔᲠᲘᲝ - მრავალდარგოვანი სამეცნიერო-სანარმოო კომერციული ფირმაა, რომელიც უზრუნველყოფს PC/AT(XT) ტიპის პერსონალური კომპიუტერების ტექნიკურ და სისტემურ ექსპლოატაციას.
2. ᲘᲛᲔᲠᲘᲝ - შეიქმნა მატერიალური რესურსების სამინისტროსთან და ამიტომაც მზადაა მოამარაგოს თავისი აბონენტები პერსონალური კომპიუტერებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილებით.
3. ᲘᲛᲔᲠᲘᲝ - ამუშავებს სპეცპროგრამებს.
4. ᲘᲛᲔᲠᲘᲝ - ღებულობს წინადადებებს სერვისული ბიუროების გახსნაზე საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე და ამისათვის მზადაა მოამზადოს ტექ. პერსონალი ადგილზე.

გვესტუმრეთ, მოგვწერეთ, დაგვირეკეთ, მისამართი:
380077, ქ.თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42/2
(მატერიალური რესურსების სამინისტრო, შე-3 სართული)
ᲢᲔᲚ: 39-14-77; 95-81-05

ᲤᲘᲠᲛᲐ "Მ Ა Გ Ი " ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ:

საგარაკო აგეჯის კომპლექტს, თანამედროვე დიზაინით, სხვადასხვა ფერში შესრულებულ მსუბუქი კონსტრუქციის მაგიდებს, სკამებს, სავარძლებს, საწოლებს, ჟურნალის მაგიდებს, საკაბინეტო და ოფისის აგეჯს შინ მიტანით.

მისამართი: ᲥᲘᲜᲫᲛᲐᲠᲐᲣᲚᲘᲡ Ქ. №15

ᲢᲔᲚ. 71-92-53

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

კერძო ბინა მცხეთაში, ხეხილის ბაღით, ვენახით.

ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ მოგვმართეთ ეისკის ქ.№31

ᲢᲔᲚ.: 20-02

ნამორაძე პაატა.

Общественно-политическая газета

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ: მიხაღები — 93-97-31;
პასუხისმგებელი მდივანი — 93-81-56;
წერილების განყოფილება — 99-00-49.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲓᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ ᲡᲐᲛᲯᲔᲠ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ. ᲨᲐᲑᲐᲗᲘ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲛᲔᲠᲐᲑ ᲑᲐᲚᲐᲠᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ „ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ“ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ თბილისი, მ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ᲗᲝᲨᲐᲠᲣᲚᲘᲡ 29.
1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.
ᲜᲐᲨ ᲘᲜᲓᲔᲥᲡ 66400

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲐ ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ — 380096 მ. ᲙᲝᲡᲢᲐᲕᲐᲡ ქ. № 14.